



როგორ შევიღო და ვისარგებლო ახალი ინტერნეტბანკით ბიზნესისთვის?

ახალ ინტერნეტბანკში ბიზნესისთვის შეხვალთ თქვენი პირადი, ანუ ფიზიკური პირის (მომხმარებლის სახელითა და პაროლით) ძალიან მარტივად, ანუ იმ ინტერნეტბანკით, რაც თქვენი პირადი ფინანსების მართვაში გეხმარებათ დისტანციურად. (ibank.ge მომხმარებლის სახელი და პაროლი).

ანუ ბიზნეს ინტერნეტბანკშიც შედიხართ იმ სახელითა და პაროლით, რასაც პირად ინტერნეტბანკში იყენებთ. დღეიდან თქვენ გაქვთ 1 სახელი და 1 პაროლი.

და რა ხდება მაშინ, როდესაც აღარ მაქვს ჩემი პირადი ინტერნეტბანკის სახელი და პაროლი?

არც ეს წარმოადგენს პრობლემას, თუ არ გახსოვთ პაროლი, მას მარტივად აღადგენთ თქვენივე ბარათით, ანუ იმ ბარათით, რომელიც თქვენი პირადია და იყენებთ გადახდებისთვის.

და მაინც როგორ?

- უთითებთ ბარათის მონაცემებს - ბარათის ნომერს, მოქმედების ვადასა და CVV კოდს;
- აირჩევთ ერთჯერადი კოდის მიღების მეთოდს;
- მობილურის ნომერზე ან ელექტრონულ ფოსტაზე მიიღებთ ერთჯერად კოდს;
- კოდის მიღების შემდეგ გამოგიჩნდებათ ფანტარა, სადაც შეიყვანთ სახელს და მიუთითებთ ახალ პაროლს;
- ამ ყველაფრის შემდეგ, ინტერნეტბანკში შეხვალთ ავტომატურად და რამდენიმე წამში.

და თუ ბარათი არ მაქვს როგორ მოვიძიო?

ამ შემთხვევაში, შედით ძველ ინტერნეტბანკში, სადაც თქვენ დაგხვდებათ ახალი პაროლის გასააქტიურებელი ლინკი, გადახვალთ ლინკზე და სპეციალურ ფანტარაში შეიყვანთ თქვენს საკონტაქტო ნომერზე გამოგზავნილ ერთჯერად კოდს. ერთჯერადი კოდის მიღებისთანავე, მარტივად იაქტიურებთ ახალ ინტერნეტბანკს.

რატომ უნდა შევიყვანო ბიზნესის ინტერნეტბანკში ჩემი პირადი, ფიზიკური პირის ინტერნეტბანკის სახელი და პაროლი?

საქართველოს ბანკმა ახალი ინტერნეტბანკით ბიზნესისთვის შექმნა ავტორიზაციის ერთი სისტემა.

რაც ნიშნავს იმას, რომ ყველა ციფრულ არხში მომხმარებელს ექნება მხოლოდ 1 მომხმარებლის სახელი და პაროლი. თქვენ აღარ მოგიწევთ სხვადასხვა არხისთვის სახელებისა და პაროლების დამახსოვრება. გექნებათ 1 სახელი და პაროლი.

ეს ყველაფერი მოსახერხებელია იმ ბუღალტრებისთვის, რომლებიც რამოდენიმე კომპანიაში მუშაობენ. თუ თქვენ ერთ-ერთი მათგანი ხართ, აღარ დაგჭირდებათ ბევრი პაროლის დამახსოვრება და ამითი დაზოგავთ დროს, თავს იგრძნობთ უფრო კომფორტულად. ბიზნეს ინტერნეტბანკში შესვლისას, მარტივი ნავიგაციით გადადიხართ ერთი კომპანიიდან მეორეში.



მაგალითისთვის იხილეთ 1 კომპანიის ისტორია და ნახეთ, რომელი შემთხვევა გესადაგებათ თქვენ. ყველაფერი ძალიან მარტივია!

ორგანიზაცია, შპს „ქასთი 2022“, რომელსაც ჰყავს 1 დირექტორი და 2 ბუღალტერი. დირექტორი: თამარი და ბუღალტრები: ნათია და დათო.

ეს კომპანია იყენებდა ძველ ინტერნეტბანკს. შესაბამისად, დირექტორს, ასევე მასთან მომუშავე 2-ივე ბუღალტერს ჰქონდა 1 მონაცემი ინტერნეტბანკში შესასვლელად: ანუ ორგანიზაციის მომხმარებლის სახელი და პაროლი. ანუ: 3-ივე მათგანი იყენებდა 1 სახელს და პაროლს კომპანიის ინტერნეტბანკში შესასვლელად, რაც გაზიარებული ჰქონდათ ერთმანეთში.

გავეცნოთ დეტალურად:

- **დირექტორი, თამარი** (რომელიც პროგრამულად განერილია, როგორც უფლებამოსილი პირი, ანუ მას შეუძლია, ისარგებლოს კომპანიის ინტერნეტბანკით); თამარს, ასევე აქვს თავისი პირადი მობილბანკი და ინტერნეტბანკი;

- **ბუღალტერი ნათია** (რომელიც, ასევე პროგრამულად განერილია როგორც უფლებამოსილი პირი, რომელსაც შეუძლია, რომ ისარგებლოს კომპანიის ინტერნეტბანკით); თუმცა ნათიას არ აქვს პირადი მობილბანკი / ინტერნეტბანკი, არასდროს არ შესულა ამ არხებში, თუმცა აქვს საქართველოს ბანკის ბარათი (პირადი და არა კომპანიის);

- **ბუღალტერი დათო**, რომელიც პროგრამულად არ არის განერილი, როგორც უფლებამოსილი პირი. თუმცა, მას შეუძლია, რომ ისარგებლოს კომპანიის ინტერნეტბანკით; დათოც იყენებს პირად ინტერნეტ და მობილბანკს.

როგორ უნდა შევიდნენ ახალ ინტერნეტბანკში?

- **დირექტორი თამარი** - რადგან იყენებს ფიზიკური პირების ინტერნეტბანკს და მობილბანკს, შეუძლია, რომ შპს „ქასთი 2022“-ის ინტერნეტ ბანკშიც შევიდეს იმ სახელით და პაროლით, როგორც შედის თავის პირადში (ანუ ამიერიდან, iBank.ge-ზე და bonline.ge-ზეც ერთი და იგივე სახელი და პაროლი შეუძლია გამოიყენოს);

- **ბუღალტერი ნათია** - რომელსაც არ აქვს თავისი პირადი ინტერნეტ და მობილბანკი, მაგრამ აქვს თავისი ბარათი - ახალ ინტერნეტბანკში შესვლისთვის bonline.ge-ზე უნდა აირჩიოს „დაგავიწყდა მონაცემები?“, ჩაწეროს ბარათის ნომერი, მოქმედების ვადა და CVV და იქვე გამოუჩნდება მომხმარებლის სახელი და დააყენებს პაროლს. ამ სახელით და პაროლით შევა როგორც კომპანიის ინტერნეტბანკში, ასევე თავის პირადშიც;

- **ბუღალტერი დათო** - რომელიც ფიზიკური პირების მობილბანკს / ინტერნეტბანკს კი იყენებს, მაგრამ არ არის განერილი კომპანიის უფლებამოსილ პირად - bonline.ge-ზე თავისი პირადი ინტერნეტბანკის / მობილბანკის მომხმარებლის სახელი და პაროლი რომ ჩაწეროს ვერ შევა. დირექტორმა ან მეორე ბუღალტერმა დათო უნდა დაამატოს ახალი ინტერნეტბანკიდან, როგორც უფლებამოსილი პირი (ფილიალში მისვლა ამისთვის საჭირო არ არის) და დამატების შემდეგ დათოც ისარგებლებს ახალი ინტერნეტბანკით